ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.09.2015
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/15

შეკითხვა:

მოქალაქე „ბ“-მ მიმართა ადვოკატ „გ“-ს , იმისათვის, რომ მას გაეწია იურიდიული მომსახურება იმ საქმეზე, რომელზედაც მოცემულმა ადვოკატმა განახორციელა მოსამართლის უფლებამოსილება. შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა „გ“-მ მისცეს იურიდიული კონსულტაცია მოქალაქე „გ“-ს აღნიშნულს საქმეზე ?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, შეკითხვაში მოცემული ადვოკატი ასრულებდა თავის პროფესიულ ფუნქციას, როგორც მოსამართლე სწორედ იმ საქმეზე, რაზედაც შემდგომ, როგორც ადვოკატს მიმართა მოქალაქე „ბ“-მ კონსულტაციის მისაღებად, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით ადვოკატ „გ“-ს ეკრძალება გასწიოს იურიდიული მომსახურება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

დასკვნა:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მოქალაქეს გაუწევს იურიდიულ მომსახურებას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზედაც აღნიშნულმა ადვოკატმა განახორციელა მოსამართლის უფლებამოსილება.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.